პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (18893) შაბათი, 28 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

გულითადი მადლობა

გულითად მადლობას მოვახსენებ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების შრომით კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, პარტიის ვეტერანებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა მომილოცეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მტკიცედ განახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის მიერ შემუშავებულ პარტიის გენერალურ კურსს, რომელიც შემოქმედებითად განვითარდა და გამდიდრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე, უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის გულდაჯერებულ წინსვლას ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ყველა მიმართულებით. პარტიის გადაწყვეტილება განუხრელად იაროს ლენინური გზით, მისი რიგების მჭიდრო შეკავშირება, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა დამაჯერებლად ცხადყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმმა.

დიდ მადლობას მოვახსენებ სოციალისტურ სახელმწიფოთა, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს გულითადი მოლოცვისათვის. მინდა აღვუთქვა ყველა საზღვარგარეთელ ამხანაგსა და მეგობარს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ეცდებიან ყოველმხრივ გააფართოონ თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან, აქტიურად შეუწყონ ხელი მსოფლიო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების პოზიციებისა და გავლენის განმტკიცებას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის ურყევად ერთგული საბჭოთა კომუნისტები კვლავაც განამტკიცებენ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სოლიდარობას, მჭიდრო ურთიერთობას მშრომელთა ინტერესებისა და უფლებებისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საზღვარგარეთელ მებრძოლებთან.

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მოქალაქეებს მოლოცვებისათვის. მინდა დავადასტურო, რომ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის მუდამ ერთგული საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ილვწვის ყველა საერთაშორისო პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის, აქტიურად ითანამშრომლებს ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც მზად არიან პრაქტიკული საქმეებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მსოფლიოში ნდობის ატმოსფეროს შექმნასა და განმტკიცებას, ყველა კონტინენტის სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

კ. ჩერნენკო.

დეპუტატობის კანდიდატები

გვირაბგამყვანი რუსლან არშბა

ხუთწლედის მეოთხე წლის დამდეგიდან ტყვარჩელის შახტსამმართველოს № 2 შახტის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის გვირაბგამყვან რუსლან არშბას. შემოქმედებითად იყენებს რა გვირაბგაყვანის პროგრესულ მეთოდებს, იგი ყოველთვის მაღალ მაჩვენებლებს აღწევს, ხათავში უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას.

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარს რ. არშბა საზოგადოებრივ მუშაობას. არის უბნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, შახტის პროფკავშირის კომიტეტის წევრი, არჩეულია ტყვარჩელის საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულად.

მოწინავე მაღაროელი რუსლან არშბა დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 891 ტყვარჩელის საარჩევნო ოლქში.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, გვირაბგამყვანი რუსლან არშბა.

ი. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმის შედეგები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე საქართველოს კომპარტიის ამოცანები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმზე 1984 წლის 24 თებერვალს

ამხანაგებო!

ათი დღის წინათ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

პლენუმი შეიკრიბა ძნელ მომენტში, ძალზე პასუხსაგებ პერიოდში. იმ დღეებში ქვეყანა ეთხოვებოდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს. ჯერ კიდევ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ კი გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, და ახლა კვლავ დახრილი იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, კვლავ შავებით იყო შემოსილი წითელი დროშები.

მძიმე დანაკლისი განიცადეს პარტიამ და ჩვენმა ხალხმა.

როცა ოჯახის წევრები უფროსს კარგავენ, ისინი უფრო ახლობელნი, ლვიძლნი, ერთმანეთისათვის უფრო საჭირონი ხდებიან. ასეა პარტიაც: დაკარგა რა ლიდერი, სახელმწიფოს ხელმძღვანელი, იგი უფრო მჭიდროდ ირაზმება, უფრო მჭიდროდ კრავს თავის რიგებს.

ასეა ხოლმე საბრძოლო მწყობრში. დაღუპული მეთაურის ადგილს იკავებს მეორე, ხოლო განგმირულ მეთაურის ალისფერ დროშას ხელიდან გამოსტაცებს ის მეომარი, რომელიც მის მხარდამხარ იბრძოდა. თავის ხელმძღვანელთან გამოთხოვების ჟამს პარტია თავის რიგებიდან აწინაურებს ახალ ლიდერს — ყველაზე ღირსეულს, იმას, ვისაც ანდობს ხელმძღვანელობას, ვისაც გაჰყვება, ვისი მეთაურობითაც განაგრძობს ბრძოლას კომუნიზმის ნათელი იდეალებისათვის.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ „დიდი რევოლუციები თავისი ბრძოლის მსვლელობაში აწინაურებენ დიდ ადამიანებს და გასაქანს აძლევენ ისეთ ტალანტებს, რომლებიც წინათ შეუძლებელი ჩანდნენ", რომ „პროლეტარული რევოლუცია ძლიერია სწორედ თავისი წყაროების სიღრმით..., რომ იმ ადამიანების ...

[illegible]

... იმას, რაც მათ დაიწყეს".

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ეკუთვნის ის აზრი, რომ „არც ერთი რევოლუციური მოძრაობა არ შეიძლება მტკიცე იყოს, თუ მას არ გააჩნია ხელმძღვანელთა მტკიცე და თანამიმდევრობის დამცველი ორგანიზაცია".

ხელმძღვანელთა ასეთ ორგანიზაციად გვევლინება ჩვენს პარტიაში, მის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ...

[illegible]

... ლებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეკვს სხვა მოკავშირე რესპუბლიკასთან ერთად, დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

არჩეული არიან პარტიულ კომიტეტში

თრიხნაურის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში დიდი პატივისცემით სარგებლობს ხელოვნობიერო დეპოს მემანქანე ანატოლი ივანეს ძე ანიდატიევი, წარმოების მოწინავე და ნოვატორი, ახალგაზრდა რკინიგზელთა დამრიგებელი. იგი, რომელიც ჯერ სკკპ საოლქო კომიტეტის წევრად, შემდეგ კი მისი ბიუროს წევრად აირჩიეს, სამაგალითოა დავალებათა შესრულებისადმი პარტიული დამოკიდებულებით. ამიტომაც მორიგ საოლქო პარტიულ კონფერენციაზე კომუნისტი მუშა კვლავ აირჩიეს საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში.

„ჩვენს პარტიაში ყოველგვარი არჩევითი პოსტი, — თქვა კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, — პასუხსაგები პოსტია. პარტიულ კომიტეტში არჩევა უნდა მივიჩნიოთ თავისებურ ნდობის კრედიტად, რომელსაც პარტიის წევრები თავიანთ ამხანაგებს აძლევენ. და ეს ნდობა თავდადებული შრომით უნდა გავამართლოთ. ასეთია განვლილი კრებებისა და კონფერენციების მონაწილეთა განწყობა".

დამთავრებულმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ცხადყო კომუნისტთა შეგნებისა და აქტიურობის მაღალი დონე. ამის დამადასტურებელია არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების შექმნისადმი დაინტერესებული, მოთმოვნილი მიდგომა. ამის შედეგად პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობაში დაწინაურებული არიან ავტორიტეტიანი, გამოცდილი, საქმის მცოდნე ადამიანები: მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები ...

[illegible]

„არჩევის" 27 თებერვლის მოწინავე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1984 წლის 26 თებერვალს 65 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლანდია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ნ. ა. ლანდიას დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია ე. კ. ხარაძის თავმჯდომარეობით.

ნ. ა. ლანდიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმი

(გაგრძელება)

სავალისხმოა, რომ ეს დროშა რესპუბლიკას გადაეცემა ხვალ, სწორედ იმ დღეს — 25 თებერვალს, როცა 63 წლის წინათ თბილისის თავზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, რაც სიოგი ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა მოსკოვს, კრემლს — ლენინსა და სტალინს. დიახ, ასეთი დამთხვევა ყოველივეს კომუნისტურ მშენებლობაში რესპუბლიკის მშრომელთა ახალი სახელოვანი გამარჯვების საწინდარია.

ყოველი ჩვენგანის კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ის, რომ ეს საპატიო ჯილდო მიენიჭათ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ქალაქებს თბილისსა და ფოთს, ბოგდანოვკის, მახარაძის, ჩხოროწყუს რაიონებს, აგრეთვე 32 შრომით კოლექტივს, რომელთაგან 16 შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საკავშირო საპატიო დაფაზე. ეს დიდი სიხარულია!

მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ აჭარის ასს რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქალაქები ბათუმი, სოხუმი, ცხინვალი, ქუთაისი და ზუგდიდი, 34 რაიონი, 73 საწარმოს, ორგანიზაციის, მეურნეობის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების შრომითი კოლექტივები. სულით და გულით ვულოცავთ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთ.

გულწრფელად გაგვახარა იმ ამბავმა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ ჩვენი მეზობლები — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა და სომხეთის სს რესპუბლიკა.

გასული სამეურნეო წლის, ისევე როგორც მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი სამი წლის შედეგები, ჩვენ შევაჯამეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტორგანიზაციის ამოცანები. მაგრამ, ნება მიბოძეთ, დღესაც სულ მოკლედ შევეხო იმ ძირითად მაჩვენებლებს, რომლებმაც გამოიყვანა საქართველოს რესპუბლიკა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის.

სტიქიურ უბედურებებთან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეზღუდულობასთან დაკავშირებული სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის სოციალისტურ ვალდებულებებს. გაიზარდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, სამრეწველო წარმოების მატებამ შეადგინა 5 პროცენტი, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 137 მილიონი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა ბევრი ძირითადი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის დავალებანი. ამოქმედდა წინა წელთან შედარებით 130 მილიონი მანეთით მეტი ძირითადი საწარმოო ფონდები.

წარმატებით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელიც. იანვარში მიღწეულია ერთობ შთამბეჭდავი წარმატებანი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. თავად განსაჯეთ. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენ ჯერ არასდროს დაგვიწყია წელი ისეთი ტემპით, როგორც ახლა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მრეწველობის პროდუქციის მოცულობის მატებამ წლის პირველ თვეს შეადგინა 8,2 პროცენტი, 3,4 პროცენტით ჭარბ გადაჭარბებული შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება.

ახლა ამოცანა ის არის, რომ დავამკვიდროთ მიღწეული წარმატებანი, შევინარჩუნოთ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მოითხოვა, მიღწეული ტემპი, საერთო განწყობა ამოცანების პრაქტიკული გადაწყვეტისათვის, განუხრელად ავამაღლოთ ეკონომიკაში პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის დონე, უფრო აქტიურად განვავითაროთ პოზიტიური ტენდენციები, მივანიჭოთ მას სტაბილური ხასიათი. თანამიმდევრულად ვასრულებდეთ ამ მითითებებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში — ეს ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა. ეს სრულიად გარკვევით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზეც.

თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თქვა, რომ წარმოების ინტენსიფიკაციის კურსის თანამიმდევრული განხორციელების შეოხებით საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მიუახლოვდა საშუალო საკავშირო დონეს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია უპირატესად განვითარდეს ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები.

აღინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომა, ითქვა, რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მათ ხილისა და კენკრის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსის მიდასახელმწიფო შესყიდვაში, რომ სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესრულებაში განსაზღვრულია თითოეული რაიონისა და ქალაქის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის, ქარხნისა და ფაბრიკის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, ყოველი კოლექტივისა და თითოეული მუშაკის კონკრეტული ადგილი.

ერთი სიტყვით, როგორც ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თქვა, უდავოდ გვაქვს საამაყო.

ამასთანავე ყურადღება მიეპყრო იმას, რომ **რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სრულად არ გამოიყენება არსებული მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობანი, და ხარვეზებიც საკმაოდ არის.**

ამიტომ მთავარია, მაღალმა შედეგებმა, რომლებსაც მთლიანად რესპუბლიკაში ვაღწევთ, არ მიჩქმალონ ცალკეული დარგების, რაიონებისა და ქალაქების საქმიანობის არსებითი ხარვეზები, რათა ჩვენ ყოველთვის ძალზე კონკრეტულად და ძალზე საქმიანად შეგვეძლოს გარკვევა, რა იმალება ამა თუ იმ მაჩვენებლის მიღმა, რა გარჯის ფასად არის მიღწეული იგი. ეს ძალზე საჭიროა ვიცოდეთ, რათა მუშაობას წარვმართავდეთ ნამდვილად მეცნიერულ, სისტემურ საფუძველზე.

მაგალითად, ჩვენ იანვრის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეჯამებისას შემთხვევით როდი აღვნიშნეთ, რომ რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი დიდად განაპირობა გეგმის გადაჭარბებით შესრულებამ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ დარგებში, აგრეთვე მთელ სამუშაო დღეზე სამუშაო დროის ფონდის გადიდებამ. განა შეგვიძლია ამასთან თვალი ავარიდოთ იმ გარემოებას, რომ სამრეწველო წარმოების სადღეღამისო მოცულობათა შედარებისას პროდუქციის მატება იანვარში გაცილებით უფრო ნაკლები აღმოჩნდა? განა ჯეროვანი სიმტკიცის უქონლობას არ მოწმობს ის ფაქტი, რომ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებმა წარმოების ზრდის გათვალისწინებულ ტემპს მიაღწიეს მხოლოდ და მხოლოდ სამუშაო დროის ფონდის გადიდების შეოხებით, ხოლო ცალკეულ დარგებში ასეთი ხელშემწყობი პირობების მიუხედავადაც კი ვერ უზრუნველყვეს იგი?

ჩვენ კვლავინდებურად არ გვაკმაყოფილებს ბევრ მანქანათმშენებელ საწარმოში არსებული მდგომარეობა, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დონე, საქმეთა ვითარება მთელ რიგ დარგობრივ კომპლექსებში, ბევრი ორგანიზაციის ცუდი ფინანსური მდგომარეობა და ა. შ.

შეშფოთებას იწვევს ზოგიერთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მთელი რაიონების ქრონიკული ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში, ბევრი სხვა გადაუწყვეტელი საკითხი და პრობლემა.

ცხადია, ზოგან ამხანაგები გულარხეინად განეწყვნენ, არ უდგებიან თავიანთი საქმიანობის შეფასებას ჯეროვანი თვითკრიტიკულობით, სჯერდებიან მიღწეულს, ანდა მიურიგდნენ ნაკლოვანებებს, ხოლო ახალ ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი წინამორბედნი შეცვალეს, ცუდად ესმით მემკვიდრეობითობის პრინციპები, არ ახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

[illegible]

... დეგ ძირითადად მთავრდება მართვის ისეთი ორგანოების ფორმირება, რომლებზეც წლების მანძილზე ვოცნებობდით. **სრულად შეიქმნება ობიექტური პირობები იმისათვის, რომ პრაქტიკულად მთლიანად გამიჯნოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციები, პირობები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით გავატაროთ სამეურნეო პოლიტიკა, ჯეროვნად მოვაწესრიგოთ სამეურნეო მექანიზმი, რომელსაც სამეურნეო კადრები უხელმძღვანელებენ.**

მაგალითად, სამი რესპუბლიკური ორგანოს ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის შექმნამ არა მარტო გაამარტივა და გაათავისუფლა მმართველობითი აპარატი, არამედ მნიშვნელოვნადაც გააძლიერა თვით დარგების მართვა. ახლა სახელმწიფო კომიტეტში წყდება საკითხები, რომლებიც წინათ მხოლოდ მინისტრთა საბჭოში ან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში წყდებოდა.

ამასთანავე, ვერ ვიტყვით, თითქოს დღეს უკვე მთლიანად ყოველივეს მოწესრიგებული ყველა საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნასთან. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა პრაქტიკა, როცა სამინისტროებსა და უწყებებს ცენტრალური კომიტეტის განსახილველად შეაქვთ საკითხები, თავად კი მათი გადაწყვეტის არავითარ კონკრეტულ წინადადებას არ აყენებენ.

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმი

(დასასრული)

პარტიული კომიტეტებისათვის, თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, მეურნეობის გაძღოლა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, იმ ადამიანების გაძღოლას, რომლებიც მეურნეობას ხელმძღვანელობენ. და მართლაც, თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა მიღწევა შეპირობებულია ჩვენს კადრებთან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის თანამიმდევრული და მიზანდასახული მუშაობით და ჩვენი კადრების მეოხებით.

არსებითი ძვრები მოხდა ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობის ფორმირებაში. ახლა გაცილებით უკეთ ხდება ძველი და ახალგაზრდა მუშაკების შეხამება, ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო მეტნი არიან ქალები, გაფართოვდა სხვადასხვა ეროვნების პირთა წარმომადგენლობა, ამაღლდა მათი განათლების ცენზი და ა. შ. **საჭიროა კვლავაც ვზრუნოთ ყველა რანგის ხელმძღვანელების ისეთი სულისკვეთებით, რომ ინიციატივიანად და შემოქმედებითად ეკიდებოდნენ გადაწყვეტილებათა შერჩევას, იჩენდნენ გამბედაობას და დამოუკიდებლობას მათ რეალიზაციაში, დიდ პასუხისმგებლობასა და ობიექტურობას მიღწეული შედეგების შეფასებაში.**

უწინარესად სწორედ ამას უნდა ისახავდეს მიზნად ხელმძღვანელთა პირადი თვისებების შესწავლის, მათი ნაკლოვანებების, არასასურველი მომენტების დაძლევის, მათი საქმიანობის პოზიტიური მხარეების დამკვიდრებისა და განვითარების მთელი პრაქტიკა. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს კადრების პარტიული ატესტაცია, მათი დახასიათების დამტკიცება პარტიული კომიტეტების ბიუროთა სხდომებზე. პრაქტიკულად ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურის მთელ ახლად დამტკიცებულ კადრებზე უკვე შედგენილია ვრცელი დახასიათებანი, რომლებშიც გაშუქებულია მუშაკის თვისებები, გამოთქმულია კონკრეტული სურვილები მისი საქმიანობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების თაობაზე. მთელ ამ მუშაობას უნდა ვაწარმოებდეთ არა ფორმალურად, არამედ არსებითად.

...

მშრომელთა არჩევნებისწინა კრებები

განვახორციელოთ პარტიის გეგმები

ამომრჩეველთა შეხვედრა ვ. ვ. გრიშინთან

სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შემდგომი განვითარების, კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის განმტკიცების, კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა მჭიდრო დარაზმულობის ნიშნით მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. წინასაარჩევნო კრებებზე საფუძვლიანად, საქმიანად იხილავენ ქვეყნის ცხოვრების საკითხებს, მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ ...

... კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებული შესრულებისათვის პრაქტიკული მოქმედების პროგრამა.

პარტიის მოწოდების პასუხად იშრომონ უკეთ, უფრო ნაყოფიერად, მოსკოველები ისწრაფვიან განამტკიცონ და განავითარონ ხუთწლედის მესამე წლის წარმატებები, დაამკვიდრონ ლენინური სტილი მუშაობაში, სოციალურ-ეკონომიკური და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტისადმი ...

... ტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე მის დაუცხრომელ მოღვაწეობასთან. ი. ვ. ანდროპოვის უდროოდ გარდაცვალება მძიმე დანაკლისია საბჭოთა ხალხისა და ჩვენი პარტიისათვის. წავიდა ჩვენგან ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მგზნებარე პატრიოტი, ლენინელი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

13 თებერვალს გამართულმა ...

... ნიშნა დეპუტატობის კანდიდატმა, საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა დიდი წარმატებები ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მაღალი მაჩვენებლებია მიღწეული 1983 წელსაც. დაჩქარდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, წინ გადადგეს ნაბიჯი ინდუსტრიის წამყვანმა დარგებმა, უმჯობესდება საქმეები ტრანსპორტზე. ეს მოწმობს, რომ სწორი და ეფექტიანია არსებული შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენებისათვის, სოციალისტური მეურნეობრიობის სრულყოფისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ...

...

(დასასრული მე-4 გვ.)

განვახორციელოთ პარტიის გეგმები

(დასასრული)

სამრეწველო წარმოების მოცულობა ამ წლებში რაიონში გადიდდა 18 პროცენტით. წარმოების მოცულობის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. აქ ახალმოსახლეობა იზეიმა 17 ათასმა ოჯახმა. ამომრჩეველთა განაწესებით აშენდა სამი სკოლა, საბავშვო ბაღი საცურაო აუზით, პოლიკლინიკა, მრავალპროფილიანი საავადმყოფო, საშობიარო სახლი, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების საწარმოები. განხორციელდა კეთილმოწყობის დიდი სამუშაოები.

ამასთან ჯერ კიდევ გვაქვს სიძნელეები და გადასაჭრელი პრობლემებიც. კვლავ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა, უნდა გაუმჯობესდეს სატრანსპორტო მომსახურება, დაჩქარდეს და გაუმჯობესდეს კეთილმოწყობის სამუშაოების, საინჟინრო ქსელების, საწარმოო შენობებისა და საცხოვრებელი სახლების რემონტის სამუშაოების ხარისხი, უნდა ავამაღლოთ მოსახლეობის ყველა სახეობის მომსახურების თვისებრივი დონე.

დაწვრილებით შეეხო რა სკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ჩაუნერგონ მოსკოველებს მაღალი პოლიტიკური შეგნება, მიაღწიონ იმას, რომ ყველას ღრმად ესმოდეს პარტიის პოლიტიკა, ჩამოუყალიბონ ამის საფუძველზე მშრომელებს ისეთი თვისებები, როგორიც არის პასუხისმგებლობა, შეგნებული დისციპლინა, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობა, ორგანიზებულობა, ინიციატივიანობა, გერგილიანობა. ამასთან უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმის, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების, უნიათობის, გულგრილობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდებს, მოზარდ თაობას შორის აღმზრდელობით მუშაობას.

აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი უნდა იყოს საბჭოთა ადამიანების იდეური მრწამსის განმტკიცება, მათი მზადყოფნა წინააღუდგნენ ყოველნაირი ფორმის ბურჟუაზიულ ზეგავლენასა და კაპიტალისტურ პროპაგანდას, რომელიც აძლიერებს შეტევას ჩვენს ქვეყანაზე.

ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი ისტორიული მონაპოვარია საბჭოთა ცხოვრების წესი, და თქვა, რომ თავისი ხასიათით ჰუმანისტური, იგი ქმნის წინათ არნახულ წანამძღვრებს მიზანმიმართული, მეცნიერული მსოფლმხედველობის, მომავლის, კომუნიზმის იდეალებისადმი დიდი რწმენის მქონე ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ილაპარაკა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საბჭოთა ადამიანების მაღალ პოლიტიკურ და შრომით აქტიურობაზე, დეპუტატობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთხელ მკაფიოდ ცხადყოფს ჩვენს ქვეყანაში სახალხო ხელისუფლების განვითარებას, წარმოების გაზრდილი მასშტაბი, სოციალისტური დემოკ-

ამშენებლობის ლენინური კურსით

ამომრჩევლების შეხვედრა გ. ვ. რომანოვთან

[illegible]

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა.

იგი მიმდინარეობდა სამგლოვიარო დღეებში, როცა ქვეყანა ეთხოვებოდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, მგზნებარე პატრიოტსა და მტკიცე ინტერნაციონალისტს, ოქტომბრის იდეალებისათვის, პლანეტაზე მშვიდობისათვის ქედუხრელ მებრძოლს. პატივს მიაგო რა იური ვლადიმერის ძის ნათელ ხსოვნას, სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც დარაზმულობისა

[illegible]

ცხოვრებისა და ... ... ხაიანი პირობები. გაიზარდა ქვეყნის საწარმოო პოტენციალი. მტკიცედ სრულდება სასურსათო პროგრამა, განხორციელდა მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნები.

მეურნეობრიობის სრულყოფის, კადრების დისციპლინისა და ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა, საბჭოთა ადამიანების თავდადებულმა შრომამ საგრძნობი უკუგება მოგვცა გასულ წელს. მეტ წილ დარგებში დაჩქარდა ეკონომიკუ-

[illegible]

და ტექნოლოგიების პროგრესული სისტემები, რომლებშიც გამოყენებული იქნება მიკროპროცესორები, სამრეწველო რობოტები, რიცხვული პროგრამული მართვის ჩარხები, „დასამუშავებელი ცენტრები", მოქნილი ტექნოლოგიური პროცესები, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის ჩარხმშენებლებმა და ხელსაწყოთმშენებლებმა. სხვა სამინისტროების გეგმებით აგრეთვე გათვალისწინებულია პროგრესული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების წარმოების გადი-

[illegible]

ინდუსტრიული ცენტრების მოწინავე კოლექტივების წამოწყებებს, ლენინგრადის ბევრი საწარმოს ძიებას, ვ. ი. ლენინის სახელობის გაერთიანება „ნევის ქარხნის", გაერთიანებების „სვეტლანას", „ფოსფორიტის", ე. ი. ეგოროვის სახელობის ვაგონსაშენებელი ქარხნის, ვ. პ. ნოგინის სახელობის სართავ-საქსოვი ფაბრიკის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წარმოების მოცულობის მთელი მატება უზრუნველყონ ტექნიკური პროგრესის, მოწყობილობის მაქსიმალური დატვირთვისა და რესურსების დაზოგვის გზით.

[illegible]

ყველა არსებული საშუალებით — ეკონომიკური, ადმინისტრაციული, აღმზრდელობითი საშუალებებით.

სოციალიზმის ფუძემდებელი პრინციპის — „თითოეულს შრომის მიხედვით" — გამუხრელი განხორციელებისათვის ზრუნვით ნაკარნახევია ახლა ყველა ღონისძიება, რომელთა მიზანია განაწილების ურთიერთობის სრულყოფა. პარტიისა და სახელმწიფოს მეცადინეობის მთავარი მიზანია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტა.

ჯერ ერთი, კიდევ უფრო უნდა გავაუმჯობესოთ მატერიალური და

[illegible]

ლის კეთილდღეობის გაუმჯობესების, პლანეტაზე მშვიდობის დაცვისა და დამკვიდრების მკაფიოდ გამოკვეთილ მიზნებსა და ორიენტირებს.

ეჭვი არ არის, რომ ლენინგრადელები, რომლებიც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ხმას მისცემენ ამ პლატფორმას, ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის უმაღლესი მიზანი იყო და არის ჩვენი ხალხის ბედნიერება, კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვება! (სატდესი).

კინოობიექტივში არიან ომისდროინდელი ბავშვები

ევგენი ევტუშენკოს ფილმის პრემიერა თბილისში

თითქმის ორმოცი წლის წინათ დღემდე ქვემეხები, ხანძარი დიდი სამამულო ომის უკანასკნელი ხანძარი, გადაიქუხა ჩვენმა ნელმა სალუტებმა ძმათა სასაფლაოებზე, ეშელონებმა ქალაქებში წაიღეს დაქანცული ლითონი. მიწაზე კი დარჩა ტკივილი. ის ტკივილი, რომელიც თან არ მიაქეთ მკვდრებს და სამუდამოდ უტოვებენ ცოცხლებს ხსოვნასთან ერთად.

ჩვენი ტკივილი გამრავლებულია საშინელ ციფრზე — ოც მილიონზე, რომელიც ადამიანის გონებაში ვერ ეტევა. ამ რიცხვზე ვამრავლებთ იმ სიყვარულს, ოცნებას, სიმღერას, რასაც დამთავრება არ ეწერა, ბავშვებს, რომლებიც ვერ დაიბადნენ.

ეს აზრი შეიძლებოდა გამხდარიყო საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ევგენი ევტუშენკოს პირველი რეჟისორული ნამუშევრის — მხატვრული ფილმი „საბავშვო ბაღის" პოსტსკრიპტუმი.

ფილმის პრემიერა გაიმართა გასულ კვირას კინოს სახლში. პოეტმა ფილმი ჩამოიტანა მაშინვე, როგორც კი აჩვენა თავის სამშობლოში — ირკუტსკის ოლქის სადგურ ზიმაში.

პოეტის სარეჟისორო დებიუტი კინემატოგრაფიაში სასიამოვნო სიურპრიზი გახდა მისი ბრწყინვალე ნიჭის თაყვანისმცემლებისათვის. რეჟისორმა ევტუშენკომ ამ ფილმში განაგრძო თავისი მხატვრული ხაზი, რომელიც ადასტურებს მოქალაქეობრიობასა და პატრიოტიზმს, ლირიზმსა და ნათელ, ხალისიან ოპტიმიზმს.

„საბავშვო ბაღი", რომელიც დიდი სამამულო ომის თემას მიეძღვნა, თვით დამდგმელის სცენარის მიხედვით არის შექმნილი. ფილმში მონაწილეობს მხოლოდ სამი პროფესიონალი აქტიორი — ცნობილი ავსტრიელი მსახიობი ქალბატონი მარია ბლანდაუერი, საბჭოთა მსახიობები ნ. კარაჩენცევი და ლ. მარკოვი, სხვა როლებს კი ასრულებენ ბავშვები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, აგრეთვე თავად პოეტი.

ეს ორსერიიანი ფერადი მხატვრული ფილმი, რომელიც ეპიკური პოემის კანონებით არის აგებული, ღრმად მეტაფორულია და აღსავსეა პოეტური სახეებით. და ამას განსაკუთრებული ძალით უსვამს ხაზს ევგენი ევტუშენკოს ლექსები, რომლებიც ორგანულად

[illegible] სტრიქონები.

ფილმის [illegible] იყო, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ნოდარ დუმბაძემ საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ფილმი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი მაღალიდეურია, აყენებს თანამედროვეობისათვის უაღრესად აქტუალურ პრობლემასაც — მშვიდობისათვის, ჩვენი ბავშვების სიცოცხლისათვის ბრძოლის პრობლემას. ეს არის ავტორის ცდა ასახოს ეკრანზე თავისი შემოქმედებითი კრედო. ფილმი ავტობიოგრაფიულია, საოცრად ლირიკული და პოეტური. დარწმუნებული ვარ, რომ ევგენი ევტუშენკოს კინემატოგრაფიული ნამუშევარი ჩაითვლება მაყურებლებს მარადიულ საკაცობრიო ღირებულებებზე, ხელს შეუწყობს მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის საქმის განმტკიცებას.

ჭადრაკი

ჩემპიონატი დასრულდა

გასულ კვირა დღეს კაუნასში დამთავრდა ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის ბოლო დღის წინ 71 კგ წონითს კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ჩვენი ოდესელი თანამემამულე ლერი ნაკანი (უკრაინა, „დინამო") და მ. ფარჩიევი.

65 კგ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა მ. ჯანჩატოვმა. მეორე იყო ფირუზ მარგიანი (უკრაინა, „დინამო"), მესამე — კ. ბრჩაიანი და ი. სოკოლოვი.

შეჯიბრების ბოლო დღეს ასპარეზს 60 კგ და აბსოლუტური წონითი კატეგორიის ათლეტებმა. 60 კგ წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა (ამ წონაში ქართველ ძიუდოისტებს არ უასპარეზიათ): 1. ხ. ტლეცერი, 2. ი. ნეძლუჩენკო, 3. ი. ძუჩკოვი და ფ. აგაევი.

აბსოლუტურ წონაში კვარცხლბეკზე ავიდნენ 1. გ. ვერიჩევი, 2. ვ. შკალოვი, 3. ა. შუროვი და ბ. კუვაევი. ამ წონაში მოასპარეზე ორი ქართველი მოჭიდავე ნუგზარ დავითაშვილი და აკაკი კიბორძალიძე პირველსავე წრეში დამარცხდა: პირველი — მოსკოველ ა. ტიურინთან, მეორე — ვ. კარლატიანუსთან (მოლდავეთი).

რვანი ერთი მიზნისაკენ

გუშინწინ გაიმართა საბჭოთა კავშირის თასზე მოასპარეზე გუნდების 7 მერვედფინალური მატჩი. თბილისის „დინამომ" უმასპინძლა მინსკელ თანაკლუბელებს და დამარცხდა ანგარიშით 0:1, მოსკოვის „სპარტაკმა" დაამარცხა როსტოვის ასკ — 1:0, ვორონეჟის „ფაკელმა" — ვილნიუსის „ჟალგირისი" — 1:0, მოსკოვის „ტორპედომ" სტუმრად დაამარცხა ხარკოვის „მეტალისტი" — 2:1, დნეპროპეტროვსკში „დნეპრთან" გაიმარჯვა მოსკოვის „დინამომ" — 2:1, ცსკა-მ მოუგო კიევის „დინამოს" — 4:2, ოდესაში „ჩერნომორეცმა" — დონეცკის „შახტიორს" — 1:0.

გუშინ ლენინგრადში „ზენიტმა" დაამარცხა ერევნის არარატი (3:3. პენალტების სერია — 7:6).

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

გ. შენგელია

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული მუშაკი, 1928 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გუგუ ალექსის ასული შენგელია.

გ. შენგელია დაიბადა 1902 წელს ქ. ქუთაისში. 1921 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და დაიწყო შრომითი საქმიანობა. ახალგაზრდობის წლებიდანვე იგი აქტიურად ეხმაურება ბოლშევიკურ მოძრაობას, სწავლობს ბოლშევიკურ ლიტერატურას და ეწევა კომუნისტურ პროპაგანდას. 1922 წელს მას ირჩევენ ქუთაისის საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის მდივნად, აქ მან განსაკუთრებულად გამოავლინა ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, მათდამი გულისხმიერება და თანადგომა.

1927 წელს გ. შენგელია კვლავ აგრძელებს სწავლას, ეუფლება ფარმაცევტის რთულ პროფესიას და 1929 წელს მუშაობას იწყებს აფთიაქში. 30-იანი წლებიდან გ. შენგელია კვლავ პარტიულ სამუშაოზეა — არის საბავშვო საქმეთა კომისიის პასუხისმგებელი მდივანი. პარალელურად ქუთაისის ქალაქის საბჭოს პარტკომის მდივანია. შემდგომ წლებში ინიშნება ჯერ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის თანაშემწედ, შემდეგ საორგანიზაციო განყოფილების აღრიცხვის სექტორის გამგედ, ხოლო 1939 წლიდან გადმოჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსტრუქტორად, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე.

გ. შენგელიამ მთელი თავისი ცხოვრება სოციალისტური სამშობლოს კომუნისტური პარტიის დიად საქმეს მოახმარა. მას ახასიათებდნენ ჭეშმარიტი კომუნისტის, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობისათვის, ნამდვილი პარტიული მუშაკისათვის დამახასიათებელი პრინციპულობისათვის, პატიოსნებისათვის, კეთილსინდისიერებისათვის, თავმდაბლობისათვის, ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის, უმწიკვლო მუშაობისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად აღნიშნეს გ. შენგელიას ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ნიშნით „სკკპ რიგებში ყოფნის ორმოცდაათი წელი", მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

სულ ახლახანს ჩვენს გვერდით იყო, თავისი ასაკის მიუხედავად უჩვეულო ენერგიით და აქტივობით გამოირჩეოდა, ხარობდა მშობლიური ქვეყნის მიღწევებით, ცხოვლად ეხმაურებოდა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს, ხალისით აკეთებდა მინდობილ საქმეს. სახე ყოველთვის მეგობრული ღიმილით ჰქონდა ანთებული, ყოველთვის მზად იყო ახალგაზრდობისათვის გამოცდილების გასაზიარებლად, დასარიგებლად.

გ. შენგელიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის კოლექტივი, პარტიული კომიტეტი, ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის უხუცესი, ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

გუგუ ალექსის ასული შენგელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი, ინსტიტუტის ნერვიულ სნეულებათა კათედრა, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პეტრე მიხეილის ძე სარაჯიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისი

28 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (●). 9.15 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბილეთი სახლისაკენ". 9.30 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელი სამეფო ამალა". I, II და III სერია. 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ზ. შუშმურიძე). 14.00 — ახალი ამბები. 14.15 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. მჭედლიძე). 16.00 — ახალი ამბები. 16.10 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ა. ბათიაშვილი). 16.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეტრომშენებლები". 17.00 — მოსწავლეთათვის — „წიგნი—ჩემი მეგობარი". 18.00 — „მუსიკალური ფონტა". 18.45 — „სახალხო კონტროლის ეკრანი". 19.15 — ილია ხოშტარიას დაბადების 75 წლისთავი. 19.30 — „მოამბე". 20.05 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — კიევის „სტროიტელი" — რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (მატჩი მე-3-მე-4 ადგილებისათვის). 21.30 — „არჩევნების შესახვედრად". საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ივანე სამხარაძე (გორის რაიონის სოფელ ხვითის კოლმეურნე). 21.45 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 21.55 — ხვალ ტელეეკრანზე. 22.00 — „ჟრემია". 22.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაბამის კუნძული". 16.40 — მოსწავლეთათვის — ხაზვა. 17.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაგრის გამგივევლი". II სერია. 18.10 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07113 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოზარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20